1969/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებანი

№ 2 (337)

1969 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (337) თებერვალი 1969 წელი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.
24. ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.
25. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ზუგდიდში და წითელწყაროს რაიონში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.
26. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1968 წლის შედეგების შესახებ.
27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწადებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

№ 1/2
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. პროსკურიაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ყ. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ღვინიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. საჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. წულეისკირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ქ. ვ. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. ჭუმბურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. იაკობიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „საქართველოს ავიატორის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ბუქგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივ კომისიაში.

საინფორმაციო ცნობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუხ. 22-26
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებანი და დამატებანი და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 218. სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო ან შესამოწმებელი შეკრებისათვის და სამხედრო აღრიცხვისათვის თავის არიდება

სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო ან შესამოწმებელი შეკრებისათვის თავის არიდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია თავისი თავისათვის რაიმე ზიანის მიყენების (ასოთდაზიანება), ავადმყოფობის სიმულაციის, საბუთების გაყალბების ან სხვაგვარი მოტყუების საშუალებით, აგრეთვე თუ იგი ჩადენილია სხვა დამამძიმებელ გარემოებებში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

სამხედრო ვალდებულის მიერ სამხედრო აღრიცხვისათვის თავის არიდება, თუ ადრე ასეთივე ქმედობისათვის დამნაშავის მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით სამ თვემდე ან ჯარიმით ოც მანეთამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1969 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების წესის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 25 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 6, მუხ. 10).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნენ ცნობილი საქართველოს სსრ შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 7 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1959 წლის 18 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1963 წლის 26 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ძომსახურების მუდმივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1966 წლის 24 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 11 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მრეწველობის, კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიების დებულებების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 20 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

25 ქალაქ ზუგდიდში და წითელწყაროს რაიონში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ზუგდიდის საქალაქო და წითელწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. ა. მეუნარგიას და ი. ბაღაშვილის მოხსენებები „ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“, აღნიშნავს, რომ ქალაქ ზუგდიდში და წითელწყაროს რაიონში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად.

არჩევნების დებულებით დაწესებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები, საოლქო საარჩევნო კომისიები, საქალაქო, რაიონული, სასოფლო საარჩევნო კომისიები, აგრეთვე საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ძირითადად გამოყოფილია შესაფერისი შენობები. კომისიები უზრუნველყოფილია არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებითა და ინვენტარით. საარჩევნო კომისიების უმრავლესობას შედგენილი აქვს სამუშაო გეგმები, წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები. როგორც ზუგდიდის საქალაქო, ასევე წითელწყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ჩაატარეს საინსტრუქტაჟო თათბირები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისათვის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებასთან დაკავშირებით მაღალი აქტივობის ვითარებაში ჩატარდა კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები. მოსახლეობაში ფართოდაა გაშლილი აგიტმასობრივი მუშაობა. ქალაქისა და სოფლის მშრომელები ჩაბმული არიან წინასაარჩევნო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამასთანავე ზუგდიდის საქალაქო და წითელწყაროს რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში გაეჩინათ ზოგიერთი ნაკლოვანება.

შემოწმების დროს, როგორც ქალაქ ზუგდიდში, ასევე წითელწყაროს რაიონში სათანადოდ არ იყო მოწყობილი და გაფორმებული შენობები, სადაც მოთავსებულია საქალაქო, რაიონული და ზოგიერთი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ყველგან არ არის დაწესებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მორიგეობა, არ აქვთ სამუშაო გეგმა. დღემდე მუშაობას არ შედგომიან წითელწყაროს რაიონის მაჩხაანის, არხილოსკალოს და ჯაფარიძის სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიები. რიგი საარჩევნო კომისია უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფილი არ იყო ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებით. წითელწყაროს, კასრისწყლის და არხილოსკალოს საუბნო საარჩევნო კომისიებს არ ქონდათ სატელეფონო კავშირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო და წითელწყაროს რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მაქსიმალურად გამოიყენონ არჩევნებამდე დარჩენილი დრო და გააძლიერონ მუშაობა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მოსამზადებლად, ამ მიზნით:

ა) უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების განხორციელება დებულებით დაწესებულ ვადებში;

ბ) სათანადოდ მოაწყონ და გაფორმონ შენობები, სადაც მოთავსებულია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, უახლოეს დროში სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარონ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს ხმის მიცემის ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის სწორად გაფორმების თაობაზე. დაეხმარონ მათ სამუშაო გეგმების შედგენასა და წევრთა შორის ფუნქციების განაწილებაში. საარჩევნო უბნებში მოაწყონ კომისიის წევრთა მორიგეობა;

გ) ყურადღებით მოეკიდონ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების საქმეს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ იმ ამომრჩეველთა აღრიცხვას და სიაში შეტანას, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში;

დ) დროულად განიხილონ არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული მშრომელთა განცხადებები და გასცენ მათ ამომწურავი პასუხი;

ე) ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, რეგულარულად მოაწყონ მოხსენებები და ლექცია-საუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემის და სოციალისტური დემოკრატიზმის ძირითად პრინციპებზე. გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატთა შრომითი საქმიანობა, ორგანიზებულად ჩაატარონ დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1969 წლის 20 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1968 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1968 წლის შედეგები, აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებებით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა სასოფლო და სადაბო საბჭოებისადმი, გაიზარდა მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები საქმიანობაში ფართოდ იყენებენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. მეტი ყურადღება ექცევა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეებისა და მდივნების სწავლების საქმეს.

გაუმჯობესდა სესიების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაცია, საკითხების მომზადება-განხილვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. 25356 ადგილობრივი საბჭოს დეპუტატმა, ანუ 52,8 პროცენტმა, მონაწილეობა მიიღო სესიებზე საკითხების განხილვაში. სესიის გადაწყვეტილებებს ისინი ფართოდ აცნობენ ამომრჩევლებს, სისტემატურად ისმენენ აღმასკომების ინფორმაციებს წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები საჭირო დახმარებას უწევენ დეპუტატებს მათი მოვალეობათა შესრულებაში, ამომრჩევლებთან შეხვედრის ორგანიზაციაში, დეპუტატებისათვის წაყენებული განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების საქმეში. დეპუტატთა მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით პერიოდულად ეწყობა „დეპუტატის დღე“.

1968 წელს ადგილობრივი საბჭოების 47.944 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 45.871 დეპუტატმა ანუ მათი საერთო რაოდენობის 95,6 პროცენტმა. დეპუტატთა მიერ ანგარიშების ჩაბარებისა და ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელების საქმე კარგად არის დაყენებული გორის საქალაქო, ასპინძის, ადიგენის, გორის, ხაშურის, დუშეთის, კასპის, მცხეთის, ყვარლის, თიანეთის, მაიაკოვსკის, ვანის, თერჯოლის, საჩხერის და ჩოხატაურის რაიონულ საბჭოებში, სადაც ადგილობრივი საბჭოს ყველა დეპუტატმა ანგარიში ჩააბარა ამომრჩევლებს.

საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა მუდმივი კომისიების დიდმა ნაწილმა. ისინი სულ უფრო ღრმად სწვდებიან ეკონომიკის, კულტურისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო საკითხებს.

გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების 6.254 მუდმივი კომისიიდან სესიებზე მოხსენებით და თანამოხსენებით გამოვიდა 3.930 კომისია. მათ აღმასკომის სხდომებისათვის მოამზადეს 18.822 საკითხი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები თავიანთ მუშაობაში ფართოდ ეყრდნობიან მშრომელთა საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანიზაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია 110 შტატგარეშე განყოფილება, რომლებშიც გაერთიანებულია 610 აქტივისტი. გარდა ამისა აღმასკომის შტატიან განყოფილებებსა და სამმართველოებში მუშაობს 3.422 შტატგარეშე ინსტრუქტორი და ინსპექტორი.

1968 წელს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების 98,8 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა საბჭოს სესიებს, ხოლო 80 პროცენტმა — მოსახლეობას. მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა აგრეთვე აღმასკომების 283 განყოფილებამ და სამმართველომ.

ამასთან ერთად ზოგიერთი საბჭოს აღმასკომის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებებიდან.

აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, ნაკლებად ინტერესდებიან საწარმოო რეზერვების გამოვლინების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების საკითხებით, გვერდს უვლიან სოციალისტური კანონიერების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპთა დარღვევის ფაქტებს; საჭირო ინიციატივას არ იჩენენ სოფლების კეთილმოწყობის საქმეში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ზოგიერთი აღმასკომი არღვევს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს, საკითხების მომზადებაში ნაკლებად მონაწილეობენ მუდმივი კომისიები, სპეციალისტები და აქტივი.

გასულ წელს რესპუბლიკის 1093 საბჭოს აღმასკომიდან სესიების ჩატარების ვადები დაარღვია 20 აღმასკომმა (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ტყიბულის საქალაქო, ლაგოდეხის, მესტიის, ბოლნისის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, წითელწყაროს, ხაშურის რაიონების სასოფლო საბჭოების აღმასკომები და სხვ.).

მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ქუთაისის, ტყიბულის, ზესტაფონის, მახარაძის საქალაქო, ახმეტის, მარნეულის, მესტიის, ონის და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომები.

ნაკლოვანებებია მუდმივი კომისიების მუშაობაში. ბევრი მათგანი სრულად არ იყენებს მინიჭებულ უფლებებს, არასაკმარის კონტროლს უწევს საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, იშვიათად შეაქვს წინადადებანი აღმასკომის სხდომებისა და საბჭოს სესიების განსახილველად. გასულ წელს თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კალინინის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, პირველი მაისის რაიონული საბჭოს საბინაო და კომუნალური მეურნეობის, ცაგერის რაიონული საბჭოს საგზაო, ვაჭრობის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიებს არც ერთი საკითხი არ შეუტანია ნიათ სესიების და აღმასკომის სხდომების განსახილველად. მონაწილეობა არ მიუღიათ სესიებისათვის საკითხების მომზადებაში.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა დეპუტატები აქტიურად არ მონაწილეობენ საბჭოების მუშაობაში, არ აქვთ მჭიდრო კავშირი ამომრჩევლებთან, არ იბრძვიან მათი განაწესებისა და წინადადებების შესრულებისათვის და რეგულარულად არ აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს. საანგარიშო პერიოდში 47.944 დეპუტატიდან ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 2.073 დეპუტატს ანუ 4,3 პროცენტს.

ზოგიერთ რაიონში დარღვეულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ. საანგარიშო წლის მანძილზე 94 საარჩევნო ოლქში არ ჩატარებულა არჩევნები გასული დეპუტატების ნაცვლად.

არის შემთხვევები, როცა აღმასკომის თავმჯდომარის, მისი მოადგილის და მდივნის მოვალეობას ასრულებენ არადეპუტატები. 1.093 აღმასკომიდან 34-ში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებენ არადეპუტატი, მოადგილისას — 11-ში, მდივნისას — 23 აღმასკომში. აღნიშნულ ფაქტებს ადგილი აქვს აფხაზეთის ასსრ, ცაგერის, ბორჯომის, კასპის, ბოლნისის, გარდაბნის და ხაშურის რაიონების სასოფლო საბჭოებში.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებას, ნაკლებადაა გამოყენებული ამ საქმეში პრესა, რადიო და ტელევიზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებების, აგრეთვე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონის შესასრულებლად. ამ მიზნით:

ა) ზუსტად დაიცვან სესიების მოწვევის ვადები, გააუმჯობესონ სესიების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების საქმე, საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, მათ მომზადება-განხილვაში უზრუნველყონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების აქტიური მონაწილეობა, დეპუტატების მეშვეობით ამომრჩევლებს გააცნონ სესიების გადაწყვეტილებები, სისტემატურად შეამოწმონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, ამასთან აღმასკომებმა სესიებზე ინფორმაცია გაუკეთონ დეპუტატებს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალისტური კანონიერებისა და შინა-კოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას;

გ) მტკიცედ დაიცვან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ და არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების არჩევით თანამდებობაზე ისეთი პირების დანიშვნა, რომლებიც არ არიან შესაბამისი საბჭოს დეპუტატები.

დ) საჭირო დახმარება გაუწიონ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში, აქტიურად ჩააბან ისინი საბჭოების საქმიანობაში. დეპუტატების და მუდმივ კომისიათა მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადების, აგრეთვე დეპუტატთა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვის მიზნით პერიოდულად მოაწყონ „დეპუტატის დღე“.

დროულად მიაწოდონ დეპუტატებს საცნობარო მასალა საბჭოების მუშაობის შესახებ, ზუსტად დაიცვან კონსტიტუციის მოთხოვნა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების თაობაზე, მიიღონ საჭირო ზომები დეპუტატებისათვის წაყენებულ წინადადებათა აღრიცხვის, განხილვისა და შესრულებისათვის;

ე) სათანადო დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს, აკონტროლებდნენ საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფრო მეტი დახმარება გაუწიონ დაქვემდებარებულ საბჭოებს, უზრუნველყონ მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, პერიოდულად მოიწვიონ აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირ-სემინარები და მიაღწიონ ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. პ. ბაღათურია) მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1969 წლის 20 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 ამხ. ვ. ა. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ვასილ ალექსანდრეს ძე **ჩოფიკაშვილი** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1969 წლის 25 თებერვალი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 მედლით „წყალწაღებულთა“ გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:**

1. გაბრიელ ილიას ძე **ალელოვი** — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მილიციის ზემდგი.

2. აკაკი პოლიკარპეს ძე **ბერძული** — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე.

3. ჯაბუ ვლადიმერის ძე **ვაშაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილების მორიგე ინსპექტორი.

4. თენგიზ ნიკოლოზის ძე **ჩიჩუა** — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მთავარი ინჟინერი.

5. დემურ მიხეილის ძე **ცირდავა** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

6. ადო ამადის ძე **ჯანგოევი** — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის რწმუნებული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1969 წლის 20 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 ამხ. ნ. ი. პროსტოსერდოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების გამგე ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **პროსტოსერდოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი. 1969 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

30 ამხ. ა. ყ. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თელავის რაიონის ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ალექსი ყიდულას ძე **ასათიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი. 1969 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 ამხ. გ. ი. ღვინიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სამტრედიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. გიორგი იასონის ძე **ღვინიანი.** ძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი. 1969 წლის 7 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 ამხ. ლ. ა. საჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, რესპუბლიკური გაერთიანება „სასოფლტექნიკის“ თელავის რაიონული განყოფილების მმართველი ამხ. ლევან ალექსანდრეს ძე **საჩიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი. 1969 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

33 ამხ. ბ. ვ. წულეისკირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ენგურჰესის სამშენებლო სამმართველოს „გვირაბმშენის“ უფროსი ამხ. გიორგი ვასილის ძე **წულეისკირი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი. 1969 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

34 პროფესორ ჭ. ე. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის განყოფილების გამგე, პროფესორი ქსენია ერმალოს ასული **ბახტაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი. 1969 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

35 ამხ. ა. ბ. რეხვიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აკაკი გალაქტიონის ძე **რეხვიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაპაძე.**

თბილისი. 1969 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

36 ამხ. ი. დ. ჭუმბურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ილია დავითის ძე **ჭუმბურიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაპაძე.**

თბილისი. 1969 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

37 ამხ. ა. დ. იაკობიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საჩხერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე დავითის ძე **იაკობიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაპაძე.**

თბილისი. 1969 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

38 ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალი „საქართველოს აგიტატორი“ დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1969 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

39 ამხ. ბ. ა. ბუჟგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი ალექსის ძე **ბუჟგულაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1969 წლის 28 თებერვალი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

40 ამხ. ბ. ბ. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი გედევანის ძე **ცხოვრებაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1969 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეების თათბირი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის **ზ. კვაჭაძის** ინფორმაცია მუდმივი კომისიების მიერ 1968 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ და თავიანთი მუშაობის გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარეს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა: თ. ხვედელიანმა, პ. გელბახიანმა, დ. გელაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ი. ბუაჩიძემ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა და მუდმივი კომისიების შემდგომი მუშაობის ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა.

მოისმინეს კომისიის წევრის დეპუტატ შ. გაგოშიძის მოხსენება „რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის შესახებ“.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში კულტურის ძეგლთა დაცვის, აღდგენისა და კეთილმოწყობის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კულტურის ძეგლთა შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციისათვის ნაყოფიერად მუშაობენ ისტორიულ ძეგლთა დაცვის საზოგადოება, მისი ორგანიზაციები, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ილუსტრირებული ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“.

ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად გარკვეულ მუშაობას ეწევიან ქუთაისის საქალაქო, ვანის, მცხეთის თელავის, ყვარლის, გურჯაანის, გორის, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

ამასთანავე კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღდგენის საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობას.

კულტურის ძეგლთა დაცვის პოპულარიზაციისათვის საკმარისად არ არის გამოყენებული რესპუბლიკური პრესა, რადიო და ტელევიზია.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატებმა: შ. ამირანაშვილმა, ა. მექვაბიშვილმა, გ. ყიფიანმა, ს. დოლიძემ, რ. ლაღიძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის მოადგილემ ა. მკურნალმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ა. აფაქიძემ, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსმა თ. კანდელაკმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის განყოფილების რეფერენტმა მ. ურუშაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ს. რიგვავა. განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 253 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	7
ქ. რუსთავიდან	7
ადიგენის რაიონიდან	10
ასპინძის „	2
ახალციხის „	6
ბოგდანოვკის „	11
ბოლნისის „	38
გარდაბნის „	30
დმანისის „	57
ზუგდიდის „	10
ლანჩხუთის „	4
თელავის „	2
მესტიის „	18
საგარეჯოს „	7
საჩხერის „	8
ყაზბეგის „	2
ყვარლის „	5
წულუკიძის „	6
სამხრეთ ოსეთის ა/ო	23

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით წალკის რაიონის კაბურის სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა სოფელ კაბურიდან სოფელ ხაჩკოში და ცენტრის სახელწოდების შესაბამისად კაბურის სასოფლო საბჭოს ეწოდა ხაჩკოის სასოფლო საბჭო.